საფეხბურთო მინდვრებზე

თბილისი. 20 სექტემბერი. “ბურევესტნიკის” სტადიონი.

“დინამო” (თბილისი) _ ცსკა (მოსკოვი) 3:0 (2:0).

ცსკა: ივანოვი, დუბინსკი, შესტერნიევი, ბაგრიჩი, დოროდნიხი, ჟურავლიოვი, აპუხტინი (კოვალიოვი), ოვივიანი, მამიკინი, ამბარცუმიანი, დორონინი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ხელაძე, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მატჩს სჯიდა ლენინგრადელ მსაჯთა ბრიგადა ა. ალოვის ხელმძღვანელობით.

ხშირად ხდება: ძლიერი გუნდები თამაშს იწყებენ ურთიერთდაზვერვით, მოწინააღმდეგის დაცვაში სუსტი ადგილების ძიებით და სასურველის მიღწევისთანავე იწყებენ გადამწყვეტ იერიშებს. ასე იყო ამ მატჩშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თბილისელებმა უფრო ადრე დაამთავრეს დაზვერვა, მიაგნეს შედარებით სუსტ რგოლს მოსკოველთა დაცვის მარჯვენა ფლანგზე და თამაშში ჩართეს მესხი.

მძიმე ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი არმიელთა მარჯვენა მცველს _ დუბინსკის. მან ვერაფერი გააწყო მესხის თვალშეუვლები ფინტების წინააღმდეგ. ერთს აუღებდა ალღოს, ახლა მეორეს გამოიყენებდა თბილისელთა მარცხენა გარემარბი და არა მარტო თვითონ უქადდა საფრთხეს მოწინააღმდეგის კარს, პარტნიორებსაც ამარაგებდა “მზა” ბურთებით.

თბილისელები დაეპატრონნენ თუ არა მოედნის ცენტრს, თანდათან შეავიწროვეს არმიელები და გოლი მომწიფდა. ერთ-ერთი იერიშის დროს ბურთმა მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა. მესხმა ერთხანს გააჩერა ბურთი _ ეძებდა დუბინსკისა და დოროდნიხთან (რომელიც ამ დროს დუბინსკის დასახმარებლად იყო მოსული) გასასვლელს, ამით არმიელებს თითქოს ძალთა მობილიზების საშუალებაც მიეცა, მაგრამ მოულოდნელად გაუსხლტა ორივეს იგი და დაბალი ძლიერი დარტყმით ბურთი გაგზავნა კარის გასწვრივ. ნახტომით სცადა ივანოვმა ბურთის აღება, ვერ მოასწრო... დათუნაშვილმა გახსნა ანგარიში 1:0.

მიღებულმა ბურთმა კიდევ უფრო დააბნია მოსკოველები, მიაჯაჭვა ისინი საკუთარ კარს და თითქმის იმავე წუთში იამანიძის რეიდი კინაღამ გოლით დამთავრდა. მალე ისევ იამანიძემ განმეორებით შეასრულა იგივე “ნომერი”, მაგრამ ამჯერად მას უხეშად მოექცნენ. კალოევმა მცველთა ყურადღება მარჯვენა მხარეს გადაიტანა, საჯარიმოდან ბურთი მოულოდნელად გაუგორა იამანიძეს და მან უძლიერესი დარტყმით დაამრგვალა ანგარიში _ 2:0. ეს მოხდა მატჩის მე-16 წუთზე.

პირველ ტაიმში სტუმრებს თითქმის არ შეუქმნიათ რეალური საფრთხე მასპინძელთა კარისათვის, რადგან შეთანხმებით თამაშობდა დაცვის რგოლი, მხოლოდ ერთხელ დაკარგეს არმიელებმა გოლის გატანის შესაძლებლობა. ეს უნდა გაეკეთებინა ოვივიანს, მაგრამ ვერ შეძლო _ კოტრიკაძე დროულად გამოვიდა კარიდან და არმიელთა ფორვარდმა ბურთი ააცილა კარს.

შესვენების შემდეგ არმიელებმა აპუხტინი შეცვალეს კოვალიოვით, რომელმაც მოედანზე დაიკავა ოვივიანის ადგილი, სამაგიეროდ, ამ უკანასკნელმა გადაინაცვლა მარჯვენა ფლანგზე. ამგვარმა ცვლილებამ ერთხანს მისცა კიდევაც უპირატესობა მოსკოველებს, მაგრამ მცირე ხნით.

ბარქაიამ, რომელმაც განსაკუთრებით კარგად ჩაატარა მატჩის მეორე ნახევარი, საჯარიმო მოედანზე რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და ბურთი კარგ ადგილზე მყოფ იამანიძეს ჩააწოდა, რომელმაც არ დააყოვნა და ნელი, მაგრამ ზუსტი დარტყმით მესამედ აიძულა სტუმრები შეესრულებინათ ცენტრიდან თამაშის განახლების არასასიამოვნო პროცედურა.

დინამოელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს (3:0) და საგრძნობლად გაიუმჯობესეს არა მარტო სატურნირო მდგომარეობა, არამედ ყველაზე რეალური პრეტენდენტები არიან იმ სპეციალური პრიზისა, რომელიც დაწესებულია დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მოგებისათვის.

ო. გელაშვილი.
“ლელო”, 24 სექტემბერი, 1961 წ.